1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 4
აპრილი
1981

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 4 (483) აპრილი 1981 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

66. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.
67. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის თ. ს. რეხვიაშვილის ვადამდე განთავისუფლების შესახებ.
68. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წალენჯიხის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის ვ. კ. ქებურიას ვადამდე განთავისუფლების შესახებ.
69. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ფ. ა. ანანიაშვილის საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
70. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგური სასამართლოების შესახებ და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების შესახებ დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

განყოფილება მეორე

71. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისთვის“ დაჯილდოების შესახებ.
72. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ვ. არველაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

73. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. გოლგანელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

74. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ლ. გულეფინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

75. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ლ. შარაშენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

76. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ქ. გ. ჭილაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

77. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

78. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ე. კანდელაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

79. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. სალიბეგაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

80. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. ავალიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

81. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. ესვაჭიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

82. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ი. ხოზრევანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

83. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ბ. ელიგულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

84. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ვ. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

85. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ი. მანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

86. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. პ. ყუფარიძის

№ 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

87. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. ვ. ჭელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

66 საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე **შჩერბაკოვი** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრად.

ამხ. ილია ივანეს ძე **ხუციშვილი** გამოყვანილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 1 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

67 ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის თ. ს. რეხვიაშვილის ვადამდე განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს თედო სარდიონის ძე **რეხვიაშვილი** ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 17 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

68 წალენჯიხის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის ვ. კ. ქებურიას ვადამდე განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ვლადიმერ კონსტანტინეს ძე **ქებურია** წალენჯიხის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 17 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

69 ფ. ა. ანანიაშვილის საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ფარნაოზ ანანიას ძე **ანანიაშვილი** საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის თანამდებობიდან სამინისტროსადმი ხელმძღვანელობაში, კადრების შერჩევასა და განაწილებაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და დაუდევრობისათვის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 21 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

70 ამხანაგური სასამართლოების შესახებ და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების შესახებ დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეტანილ იქნეს ამხანაგური სასამართლოების შესახებ და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების შესახებ დებულებებში შემდეგი ცვლილებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 28 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებულ ამხანაგური სასამართლოების შესახებ დებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1977 წ., № 7, მუხ. 90):

1. მე-2, მე-5, მე-6, მე-10, მე-19, მე-20, 22-ე, 23-ე, 24-ე მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების" შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა".

2. მე-5 და მე-6 მუხლებში სიტყვები „მშრომელთა კოლექტივების" შეიცვალოს სიტყვებით „შრომითი კოლექტივების".

3. 22-ე მუხლის მეექვსე ნაწილში სიტყვები „იუსტიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები" შეიცვალოს სიტყვებით „იუსტიციის, პროკურატურის ორგანოები და სასამართლოები".

II. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 28 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებულ ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების შესახებ დებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1977 წ., № 7, მუხ. 90):

პირველ, მე-2, მე-4, მე-7, მე-11 მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების" შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 28 აპრილი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

71 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის":

მამაევი სერგო ალექსის ძე — სახანძრო კატერის უფროსი ელექტრიკოსი.

მსახურაძე გიორგი დურსუნის ძე (სიკვდილშემდგომ) — აჭარის ასსრ შუახევის რაიონის სოფელ პარალეთის საფოსტო განყოფილების ფოსტალიონი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 24 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

72 ამხ. ს. ვ. არველაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი სიმონ ვარდენის ძე **არველაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 10 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

73 ამხ. ვ. პ. გორგანელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით პოეტი ვახტანგ პეტრეს ძე **გორგანელი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 10 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

74 ამხ. ვ. ლ. გულეკვიჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე გენერალ-მაიორი ვლადიმერ ლეონტის ძე **გულევიჩი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 10 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

75 ამხ. ლ. ლ. შარაშენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი გენერალ-მაიორი ლეონ ლევანის ძე **შარაშენიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 10 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

76 ამხ. ჟ. გ. ჭილაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ქეთევან გიორგის ასული **ჭილაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 10 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

77 ამხ. ნ. ა. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს სამტრედიის კაპიტალური მშენებლობის სარაიონთაშორისო სამმართველოს უფროსი ამხ. ნოდარ ასლანის ძე **ბახტაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ.** ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 14 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

78 ამხ. ა. ე. კანდელაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

წყალთა მეურნეობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით პერსონალური პენსიონერი ამხ. ალექსანდრე ეპიფანეს ძე **კანდელაკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის მდივანი **თ.** ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 14 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

79 ამხ. ვ. ვ. სალიბეგაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ამხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ვლადიმერის ძე ხალიბეგაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 14 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

80 ამხ. ნ. ი. ავალიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის ქიმიურ მრეწველობაში ზედამხედველობის რესპუბლიკური ინსპექციის უფროსის მოადგილე ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე ავალიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 16 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

81 ამხ. ვ. პ. ესვანჯიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვახტანგ პაროენის ძე **ესვანჯია** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 17 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

82 ამხ. მ. ი. ხოზრევანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მიხეილ ისმაილის ძე **ხოზრევანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 23 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

83 ამხ. ე. გ. ელიგულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ედუარდ ბენიამინის ძე **ელიგულაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 29 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

84 ამხ. მ. ვ. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო ინსპექციის წალენჯიხის სუბტროპიკული და ხეხილის კულტურების ჯიშსაცდელი ნაკვეთის გამგე ამხ. მიხეილ ვასილის ძე კვარაცხელია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

85 ამხ. შ. ი. მანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეურნეო საქმიანობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. შოთა ისლამის ძე **მანია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

86 ამხ. ბ. პ. ყუფარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეურნეო საქმიანობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სამმართველოს უფროსი ამხ. გივი პროკოფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძე **ყუფარიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

87 ამხ. ტ. ვ. ჭრელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გარდაბნის რაიონის კრწანისის ღორების სასუქი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ტრისტან ვასილის ძე **ჭრელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 29 აპრილი

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1981 წლის 24 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

განხილულ იქნა საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 1 აპრილის სხდომაზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ. პრეზიდიუმმა **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

— აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს გააცნონ „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომელშიც განსაზღვრულია ყველა რგოლის საბჭოების საქმიანობის მთავარი მიმართულებანი სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა და ყრილობის მიერ დამტკიცებულ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდის ძირითად მიმართულებებში ჩამოყალიბებული დებულებების განხორციელებლად და უზრუნველყოფ საბჭოების მთელი სისტემის გააქტიურება ამ დადგენილებაში დასახული ამოცანების გადასაწყვეტად;

— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980-1985 წლების პერსპექტიული სამუშაო გეგმა მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებებთან და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოცემულ მითითებებთან, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს 1981 წელს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში განსახორციელებელ ძირითად ღონისძიებათა გეგმა, რომელიც მოწონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა;

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე პალატების მუდმივ კომისიათა და დეპუტატთა მიერ შეტანილი წინადადებებისა და შენიშვნების განხილვის შედეგების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის ინფორმაციის მიხედვით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა სრულყოფ მუშაობა მუდმივ კომისიათა და დეპუტატთა წინადადებებისა და შენიშვნების განსახილველად და თავიანთ საქმიანობაში ამ მიმართულებით იხელმძღვანელონ აღნიშნული დადგენილებით და მოცემული საკითხის განხილვისას ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული მითითებები;

— რჩევა მიეცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის კომისიას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლი კომიტეტთან ერთად „მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისა და ვაჭრობის შესახებ კანონმდებლობის დაცვისათვის სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და „ცენტროსოიუზის“ მუშაობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად შეისწავლოს რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების მდგომარეობა;

— საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა „1980 წელს სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად მუდმივად სრულყოს სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა, ამასთან თავის მუშაობაში იხელმძღვანელოს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებით. რჩევა მიეცეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ კანონებისა და საგეგმო დავალებების შესრულების შემოწმებისას უზრუნველყონ სახალხო კონტროლის ორგანოებთან აქტიური ურთიერთმოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

სხდომამ განიხილა რა საკითხი „საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობისა და საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის საკითხებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის 10 მარტის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე დაავალა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოებს ერთი თვის ვადაში განიხილონ ყრილობაზე სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ XXVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ყრილობის მიერ დამტკიცებულ „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში“, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახული ამოცანებისა და მითითებების შესაბამისად შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი მათ სრულიაზაციოდ და მოიწონა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების სარეალიზაციოდ წარმოდგენილი ღონისძიებანი.

* *
*

მოისმინა რა ინფორმაცია გარდაბნისა და ონის რაიონებში სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობისა და მათ მიერ მიღებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ზემოთ დასახელებულმა სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების შესახებ, გააუმჯობესეს მუდმივი კომისიების საქმიანობა. მთელი რიგი მუდმივი კომისიები აქტიურად მონაწილეობენ საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობაში, საკითხების შესწავლაში აბამენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებსა და მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ამასთან აღინიშნა, რომ გარდაბნის და ონის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა გარდაბანის და ონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ გადამჭრელი ზომები საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; ამაღლონ მათი როლი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელების, XI ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულების საქმეში; უზრუნველყონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონების მოთხოვნათა ცხოვრებაში უცილობლივ გატარება; კომისიების საქმიანობის წარმართვისას მთავარი ყურადღება დაუთმონ მათ მიერ დამატებითი რეზერვების გამოვლენას ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა დარგში საბოლოო მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად.

* *
*

პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა აგრეთვე საკითხები: ხაშურის, ბოლნისის, დმანისის, ზესტაფონისა და მაიაკოვსკის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-შენახვისა და საგზაფხულო სამუშაოებისათვის მომზადების მდგომარეობის შესახებ, სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი ზემოქმედების შემდგომი ამაღლებისათვის ქ. ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის, თელავისა და ხაშურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1981 წლის პირველ კვარტალში შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადება-საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის შესახებ და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა საერთო საცხოვრებლებში სტუდენტთა სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა. აღინიშნა, რომ ბოლო დროს გარკვეული ღონისძიებები იქნა განხორციელებული სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, მეტი ყურადღება დაეთმო სტუდენტთა სამედიცინო მომსახურებას; საერთო საცხოვრებლებთან გაიხსნა ზოგიერთი სახის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი, გაუმჯობესდა სტუდენტთა სასადილოებისა და ბუფეტების კვების პროდუქტებით მომარაგება.

ამასთან ითქვა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საერთო საცხოვრებლების არსებული ქსელი და ბაზა ვერ უპასუხებს მოთხოვნილებას.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ვასაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის სხდომამ განიხილა საკითხი რესპუბლიკის ბინათმშენებლობაში სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და ხარისხის მდგომარეობის შესახებ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ჩიგოგიძემ. განხილულ საკითხებზე კომისიებმა მიიღეს სათანადო დადგენილებები.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 24 აპრილის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 1584 კაცი:

ქ. თბილისის	პირველი მაისის	რაიონიდან 129
„	კალინინის	„ 28
„	კიროვის	„ 1
„	ორჯონიკიძის	„ 138
„	26 კომისრის	„ 43
ქ. ქუთაისის	ლენინის	„ 52
ქ. რუსთავიდან		„ 141
ქ. ტყიბულიდან		„ 81
ახალქალაქის		„ 72
ახალციხის		„ 27
ბოგდანოვკის		„ 11
ბორჯომის		„ 31
გურჯაანის		„ 48
დმანისის		„ 13
ზესტაფონის		„ 34
თეთრი წყაროს		„ 19
თელავის		„ 102
ლენტეხის		„ 2
მარნეულის		„ 17
მცხეთის		„ 68
მახარაძის		„ 33
საგარეჯოს		„ 39
საჩხერის		„ 22
სიღნაღის		„ 204
ყვარლის		„ 26
ჩხოროწყუს		„ 47
წალენჯიხის		„ 110
ხაშურის		„ 41